ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების" შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ".

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N85 განკარგულებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 730 000 ათასი ლარი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროეტების შერჩევა განხორციელდა დასახლებების საერთო კრებებისა და ამომრჩეველთან კონსულტაციების გზით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების" შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს დასახლებების მიხედვით შესაბამის პროექტებს (მათ შორის სავარაუდო ღირებულების მითითებით). მუნიციპალიტეტის საკრებულო დასახლებების (გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრისა) მიხედვით ანაწილებს შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრულ თანხას.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი მერაბ ბერძენიშვილი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი : მინდია ჟღერია

განკარგულება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ შესაბამისად,

საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტები, დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა №4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: მერაბ ბერძენიშვილი

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ - განკარგულების პროექტის შესახებ

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტი საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმების" მე-9 და მე-10 მუხლები, რომელთა თანახმადაც მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს დასახლებების მიხედვით შესაბამის პროექტებს (მათ შორის სავარაუდო ღირებულების მითითებით). მუნიციპალიტეტის საკრებულო დასახლებების (გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრისა) მიხედვით ანაწილებს შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრულ თანხას.

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*